საიდ. N80936/03

IR 1235617

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N30-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), თ. ჯაფარიძე, უ. ოშხნელი, თ. კევლიშვილის მდივნობით განიხილა კომპანიის „კაესერ კომპრესორენ სე“ (KAESER KOMPRESSOREN SE) N30-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 ნოემბრის N3406/03 ბრძანების ბათილად ცნობა, იმ ნაწილში რომლითაც სასაქონლო ნიშანს „KAESER KOMPRESSOREN“ (საიდ. N80936/03, IR1235617) უარი

ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-7 და მე-11 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭება ასევე, მე-7 და მე-11 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 ნოემბრის N3406/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, „KAESER KOMPRESSOREN“ (საიდ. N80936/03, IR1235617) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე, ვინაიდან, მსგავსია საქპატენტში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „Kaiser კაიზერი“ (რეგ. N19373, რეგ. თარიღი: 27.05.2009) და მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „OLAN Haushaltsgeräte e.K.“ სახელზე რეგისტრირებული ნიშნისა „Kaiser”, (IR1100323, რეგ.თარიღი: 19.10.2011). განცხადებული ნიშანი მთლიანად მოიცავს რეგისტრირებული ნიშნების სიტყვიერ ნაწილს. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული ნიშანი შედგება დამატებითი ელემენტისაგან, ნიშანში დომინანტი ელემენტია „KAESER“. აღნიშნულის გამო, განცხადებულ ნიშანს „KAESER KOMPRESSOREN“ (საიდ. N80936/03, IR1235617) „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-7, მე-11 და 37-ე კლასების საქონლისა და მომსახურების ჩამონათვლის მიმართ.

აპელანტი კომპანია „კაესერ კომპრესორენ სე“ (KAESER KOMPRESSOREN SE) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სასაქონლო ნიშნის „KAESER KOMPRESSOREN“ (საიდ. N80936/03, IR1235617) საქართველოში დაცვა არ ეწინააღმდეგება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონს, ვინაიდან არ არსებობს ამავე კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შედარებითი საფუძველი.

აპელანტის განმარტებით, განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს სიტყვიერი და ფიგურული ნაწილებისაგან შემდგარ კომბინირებულ სასაქონლო ნიშნას:

KAESER KOMPRESSOREN Kaiser

აპელანტის განმარტებით, ნიშნები იმდენად განსხვავდება ვიზუალური თვალსაზრისით, რომ არ მოხდება მათ შორის აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. აპელანტის პოზიციით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი შავ-თეთრია. კერძოდ, შავ მართკუთხედში, თეთრ ფერში შესრულებულია წარწერა „KAESER KOMPRESSOREN“. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანიც შავ-თეთრია და ლათინურ ანბანზეა შესრულებული - „Kaiser“. ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკური თვალსაზრისით, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლისთვის გამოითქმის, როგორც „კა-ე-ზერ კომ-პრე-სო-რენ“, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი გამოითქმის, როგორც, „კა-ი-ზერ“. ნიშნებში სხვადასხვაა სიტყვების რაოდენობა, რაც ზრდის ნიშნებს შორის ფონეტიკური თვალსაზრისით განსხვავებას და გამორიცხავს მათ შორის აღრევას.

ნიშნები განსხვავებულია სემანტიკური თვალსაზრისითაც, ვინაიდან განცხადებული ნიშანი ფანტაზიურია. სიტყვას „კაეზერ“ ქართულად მნიშვნელობა არ აქვს, ხოლო სიტყვა „კომპრენსორენ“ მიანიშნებს კომპრესორებზე. დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს აქვს სემანტიკური მნიშვნელობა - „კაიზერი“ ქართულ ენაზე

რომის იმპერიისა და გერმანიის იმპერატორთა სახელწოდებაა. დაპირისპირებული ნიშნის სემანტიკური მნიშვნელობა ცნობილია საშუალო დონის ქართველი მომხმარებლისათვის, რაც გამორიცხავს ნიშნებს შორის აღრევის შესაძლებლობას.

აპელანტის განმარტებით, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალი მე-7 და მე-11 კლასის საქონლის მიმართ განსხვავებულია. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის „Kaiser", (IR1100323, რეგ.თარიღი: 19.10.2011) ჩამონათვალი მე-7 კლასში მოიცავს ისეთ საქონელს როგორიცაა: „სარეცხი მანქანები, ჭურჭლის სარეცხი მანქანები, მტვერსასრუტები, საუთაო მანქანები, საჭრელი მანქანები, მიქსერები საყოფაცხოვრებო, ყავის საფქვავები, პურის საჭრელი მანქანები და სხვა". რაც შეეხება სასაქონლო ნიშნანს „KAESER KOMPRESSOREN" (საიდ. N80936/03, IR1235617), იგი განცხადებულია მე-7 კლასის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „მანქანები და მექანიკური აპარატურა, კომპრესორები, მათ შორის უკუქცევით კომპრესორები და ხრახნიანი კომპრესორები, ჰაერის კომპრესორები, პნევმატური გადამზიდველები, შეკუმშული ჰაერის მანქანები, შეკუმშული ჰაერის მოტორები, შეკუმშული ჰაერის ტუმბოები, კომპრესორები და ა.შ.".

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-11 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ყველა სახის დიდი და პატრა საყოფაცხოვრებო და სამზარეულო ელექტრო მოწყობილობები, კერძოდ, გათბობის აპარატურა, გამათბობლები, საშრობი და სავენტილაციო აპარატურა, კონდიციონერები, ვენტილატორები, აპარატები, ტოსტერები, კვერცხის ქურები და სხვა". რაც შეეხება განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, იგი განცხადებულია მე-11 კლასის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „საჰაერო ფილტრაციის დანადგარები, გაგრილების მოწყობილობები, ჰაერის ქულერი, მათ შორის შეკუმშული ჰაერის ქულერები და ა.შ."

აპელანტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნით მონიშნული საქონელი, როგორც მე-7, ისე მე-11 კლასში მოიცავს

მხოლოდ საყოფაცხოვრებო ელექტრო მოწყობილობებს და საქონელს. ასეთი საქონელი იყიდება ძირითადად ერთ მაღაზიაში, მაგალითად ისეთში, როგორიცაა „ელიტ ელექტრონიქსი“. რაც შეეხება განცხადებული სასაქონლო ნიშნის ჩამონათვალს მე-7 და მე-11 კლასში ეს ჩამონათვალი მოიცავს მხოლოდ სპეციალიზირებულ საქონელს, როგორიცაა: „კომპრესორები, პორტატული კომპრესორები, ჰაერის გამწმენდი მოწყობილობები, ჰაერის სტერილიზაციის აპარატები“. აპელანტის განმარტებით, ასეთი საქონელი იყიდება სპეციალიზირებულ მაღაზიებში და მისი მომხმარებლები ძირითადად არიან პროფესიონალები, რომლებიც კარგად არიან გარკვეულნი საქონლის სახეობაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 ნოემბრის N3406/03 ბრძანების ბათილად ცნობას, იმ ნაწილში რომლითაც სასაქონლო ნიშანს „KAESER KOMPRESSOREN“ (საიდ. N80936/03, IR1235617) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-7 და მე-11 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებას, ასევე მე-7 და მე-11 კლასის საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. N30- 03/16) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი - იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „KAESER KOMPRESSOREN“ (საიდ. N80936/03, IR1235617 და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „Kaiser”, (IR1100323) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. დაპირისპირებული ნიშნები მსგავსია როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით. განცხადებული სასაქონლო ნიშანი „KAESER KOMPRESSOREN“ კომბინირებულია და შედგება შავი ფერის მართკუთხედისაგან, რომელზეც თეთრ ფერში დატანილია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით შესრულებული სიტყვიერი ნაწილი „KAESER KOMPRESSOREN“. რაც შეეხება დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს „Kaiser“, იგი შესრულებულია სტილიზებული ლათინური ასოებით, სადაც მხოლოდ პირველი ასო - „K“ არის ასომთავრულად შესრულებული. განცხადებულ სასაქონლო ნიშანში „KAESER KOMPRESSOREN“ სიტყვიერი ნაწილი „KOMPRESSOREN“, რომელიც გერმანული ენიდან ქართულად ითარგმნება, როგორც „კომპრესორი“, მე-7 და მე-11 კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვალისათვის არ ექვემდებარება დამოუკიდებელ სამართლებრივ დაცვას. შესაბამისად, დაპირისპირებული ნიშნების შედარებისას, უნდა შედარდეს მისი დაცვისუნარიანი ელემენტები „KAESER“- „Kaiser”. ორივე სიტყვიერი ნაწილი შედგება 6 ასოსაგან, რომელთაგან განსხვავებულია მხოლოდ ერთი - „E“ და „i“, რაც ვერ სძენს ნიშნებს საკმარის განმასხვავებლობას.

ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული ნიშნის დაცვისუნარიანი ელემენტი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „კაეზერ“, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი, როგორც „კაიზერ“. ნიშნებს შორის განსხვავება მხოლოდ ერთ ხმოვანშია, რაც ზრდის დაპირისპირებულ ნიშნებს შორის მსგავსებას.

მსგავსია ასევე, დაპირისპირებული ნიშნების მე-7 და მე-11 კლასის საქონლის ჩამონათვალი. კერძოდ, დაპირისპირებული ნიშნის მე-7 კლასის საქონლის ჩამონათვალი მართალია, მოიცავს საყოფაცხოვრებო ტექნიკას, მაგრამ განცხადებული ნიშნისთვის დაცვის მინიჭება მოითხოვება ისეთი საქონლისათვის, რომელიც წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ტექნიკის ტექნიკურ შემადგენელ

ნაწილებს. მაგალითად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალში შედის მტვერსასრუტი, რომლის შემადგნელი ნაწილია ვაკუუმური ტუმბო და ელექტრო მოტორი, რომელიც შედის განცხადებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალში.

მსგავსია დაპირისპირებული ნიშნების მე-11 კლასის საქონლის ჩამონათვალი, ვინაიდან, დაპირისპირებული ნიშნების მე-11 კლასის საქონელი მათი ბუნებითა და დანიშნულებით წარმოადგენს ერთგვაროვან საქონელს, რადგან ორივე ნიშნის საქონლის ჩამონათვალი დაკავშირებულია გათბობისა და გაგრილების სისტემებთან, ასევე სავენტილაციო სისტემებთან, რომელსაც ჰყავს საერთო მომხმარებელი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის N02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „კაესერ კომპრესორენ სე“ (KAESER KOMPRESSOREN SE) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 25 ნოემბრის N3406/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: თ. ჯაფარიძე

უ. ოშხნელი